ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2914817

ნომერი: AR1449541

თარიღი : 18.10.2016

გაცემის თარიღი : 27.10.2016

გაცნობის თარიღი : 27.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 37 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ ლაბაძე პ/ნ 01012004980
- თბილისი მცხეთის გას. N 13

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06/09/2016 წლის #2819176 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 18.10.2016

წლის #AR1449541 განცხადებით მომართა კახაბერ ლაბაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06/09/2016 წლის #2819176 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 06/09/2016 წლის #2819176 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N37, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.14.06.007.047) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის "ბ" ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 07 სექტემბრიდან 2018 წლის 07 სექტემბრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 06/09/2016 წლის #2819176 ბრძანებაში ცვლილების შეტანას. კერძოდ, უთითებს, რომ სურს 06/09/2016 წლის #2819176 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების წინამდებარე განაცხადით წარმოდგენილი გეგმებით ჩანაცვლება, რადგან აღნიშნულ ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებში გამორჩენილია 9.8 ნიშნულზე განთავსებული გეგმა, ასევე 16.4, 19.7, 23.0, 26.3 და 29.60 ნიშულებზე, ექსპლიკაციებში, საზაფხულო ფართებში არის მცირედი უზუსტობა. განმცხადებელი ასევე უთითებს, რომ აღნიშნული ხარვეზები 06/09/2016 წლის #2819176 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილებას არ იწვევს.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული გეგმები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06/09/2016 წლის #2819176 ბრძანებაში. კერძოდ, დაემატოს 9.8 ნიშნულის გეგმა და ასევე, 16.4, 19.7, 23.0, 26.3 და 29.60 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით, დანარჩენ ნაწილში კი დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06/09/2016 წლის #2819176 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ.თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.